



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბ რ ძ ა ნ მ ბ ა

08/12 2016 წ.

თბილისი

№ 691

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების
იზოლატორებში
მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქციის დამტკიცების
თაობაზე

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“
საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით
დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტებისა და
„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების
იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს №423 ბრძანებით
დამტკიცებული შინაგანაწესის მე-16 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების
იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქცია
თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

გიორგი მდებრიშვილი



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში
მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქცია

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქცია (შემდგომში – ინსტრუქცია) განსაზღვრავს სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში (შემდგომში – იზოლატორი) მოთავსებულ პირთა (შემდგომში – მოთავსებული პირი) ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებისა და შესაბამისი მკურნალობის უზრუნველყოფის, იზოლატორში დაავადებათა პრევენციის, დაზიანებების სრულყოფილი აღწერის, მოთავსებულ პირთა ავადობისა და სიკვდილობის შემცირების მიზნით მოთავსებულ პირთათვის ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ქვეყანაში დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი სამედიცინო მომსახურების გაწევის წესს.
2. ამ ინსტრუქციის მოქმედება ვრცელდება სამინისტროს ყველა იმ იზოლატორზე, რომელშიც ფუნქციონირებს სათანადოდ აღჭურვილი სამედიცინო პუნქტი და სამედიცინო საქმიანობას ეწევა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის (შემდგომში – დეპარტამენტი) სამედიცინო მომსახურების სამსახურის (შემდგომში – სამსახური) სამედიცინო განათლებისა და შესაბამისი სერტიფიკატის მქონე შტატგარეშე მოსამსახურე (შემდგომში – იზოლატორის სამედიცინო მუშაკი). ინსტრუქციით განსაზღვრული მოვალეობების შესრულება სავალდებულოა იზოლატორის ყველა სამედიცინო მუშაკისათვის.

მუხლი 2. სამედიცინო მომსახურების ორგანიზება და იზოლატორის სამედიცინო პუნქტი

1. იზოლატორში სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას უზრუნველყოფს სამსახური. სამსახური მოთავსებულ პირთათვის სამედიცინო სერვისების მიწოდებას ახორციელებს იზოლატორის სამედიცინო მუშაკებისა და სამედიცინო პუნქტების მეშვეობით, რომელიც ფუნქციონირებს შემდეგ იზოლატორებში:
 - ა) ქ.თბილისის №1 დროებითი მოთავსების იზოლატორი;
 - ბ) ქ.თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორი;
 - გ) აჭარისა და გურიის რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორი;

დ) შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორი;

ე) ქვემო ქართლის რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორი;

ვ) კახეთის რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორი;

ზ) იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორი;

თ) სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დროებითი მოთავსების იზოლატორი.

2. იმ იზოლატორში, რომელშიც არ ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი, სამედიცინო მომსახურების გაწევის მიზნით გამოძახებულ იქნება სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა.

3. სამედიცინო პუნქტში შეიძლება საქმიანობას ეწეოდნენ ექიმები და ექთნები. იზოლატორის ექიმს უნდა გააჩნდეს შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და შესაბამისი სპეციალობის დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი (ზოგადი პროფილის ექიმის, შინაგანი სნეულებების ან/და საოჯახო მედიცინის სერტიფიკატი). სამედიცინო პუნქტში დასაქმებამდე, შერჩეულ კანდიდატსა და სამინისტროს შორის ფორმდება წერილობითი ხელშეკრულება, რომლის დაცვაც სავალდებულოა ხელშემკვრელი მხარეებისთვის.

4. სამედიცინო პუნქტი უშუალოდ ექვემდებარება სამსახურს და არ შედის იზოლატორის შემადგენლობაში.

5. სამედიცინო პუნქტისათვის იზოლატორში გამოყოფილი უნდა იყოს იზოლირებული ფართი. სამედიცინო პუნქტს უნდა გააჩნდეს ინფრასტრუქტურა და საშუალებები პირადი ჰიგიენის დაცვის, სამედიცინო პუნქტის დასუფთავებისა და დეზინფექციისათვის. სამედიცინო პუნქტში უნდა იყოს ბუნებრივი და ხელოვნური განათება, გათბობა, ბუნებრივი ვენტილაცია. იზოლატორში მოთავსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის სამედიცინო პუნქტში გათვალისწინებული უნდა იყოს მაქსიმალური მისადაგების პირობები მისი უსაფრთხო გადაადგილებისა და ღირსეული ცხოვრებისათვის.

6. იზოლატორის სამედიცინო პუნქტის აღჭურვილობის ჩამონათვალი განისაზღვრება ინსტრუქციის №1 დანართის შესაბამისად.

მუხლი 3. ხელმისაწვდომობა სამედიცინო მომსახურებაზე

1. მოთავსებული პირისათვის სამედიცინო მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერ დროს, მიუხედავად დღე-ღამის პერიოდისა. იზოლატორში მოთავსებისას, ინფორმირებული წერილობითი თანხმობის მიღების შემდგომ, პირი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების მიზნით დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოკითხული სათანადოდ და შემოწმდეს იზოლატორის მორიგე ექიმის მიერ. იზოლატორში მიღებისას

მას ასევე უნდა მიეწოდოს ინფორმაცია იზოლატორში არსებული სამედიცინო სერვისისა და ამ მომსახურებით სარგებლობის წესების შესახებ. იზოლატორის სამედიცინო მუშაკთან კონსულტაციის მოთხოვნა დაკმაყოფილებული უნდა იქნეს შეუზღუდავად, დაყოვნების გარეშე.

2. მოთავსებული პირისათვის იზოლატორში ხელმისაწვდომი უნდა იყოს სამედიცინო მომსახურება ისეთივე ხარისხით, როგორითაც სარგებლობენ თავისუფალი მოქალაქეები სამოქალაქო ჯანდაცვის სექტორში.

მუხლი 4. მოთავსებული პირის თანხმობა სამედიცინო მომსახურების გაწევაზე და კონფიდენციალობის დაცვა

1. სამედიცინო მომსახურებაზე თანხმობის გამოხატვის თავისუფლება და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა წარმოადგენს ადამიანის ძირითად უფლებას. ამასთანავე, მისი დაცვა უმნიშვნელოვანესია იზოლატორის სამედიცინო მუშაკსა და მოთავსებულ პირს შორის ნდობის ჩამოყალიბებისათვის.

2. სამედიცინო მომსახურების გაწევისას მოთავსებულ პირს უნდა მიეწოდოს სრული, ობიექტური და გასაგები ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების მიზნისა და საჭიროების, დადგენილი დიაგნოზის, მკურნალობის კურსის, დანიშნული მედიკამენტების, ალტერნატიული დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდების შესახებ.

3. სამედიცინო მომსახურების გაწევის აუცილებელი პირობაა პაციენტის, ხოლო მისი მცირეწლოვნების ან მის მიერ გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში – პაციენტის ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობის მიღება. ინფორმირებული თანხმობის მიღება წინ უძღვის სამედიცინო მომსახურების გაწევას. წერილობითი ინფორმირებული თანხმობის მიღება აუცილებელია „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

4. მოთავსებულ პირს უფლება აქვს, გაეცნოს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ იზოლატორში არსებულ სამედიცინო დოკუმენტაციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

5. ქმედუნარიან და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე მოთავსებულ პირს უფლება აქვს, მკურნალობის ნებისმიერ ეტაპზე უარი განაცხადოს სამედიცინო მომსახურებაზე, აგრეთვე შეწყვიტოს უკვე დაწყებული სამედიცინო მომსახურება. სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმის ან მისი შეწყვეტის მოსალოდნელი შედეგების შესახებ მოთავსებულ პირს უნდა მიეწოდოს ამომწურავი ინფორმაცია.

6. იზოლატორის სამედიცინო მუშაკის მიერ მოთავსებული პირისათვის ყველა სახის სამედიცინო მომსახურება როგორც იზოლატორში მოთავსებისას, ასევე შემდგომში უნდა ჩატარდეს კონფიდენციალურობის დაცვით. სამედიცინო შემოწმება უნდა განხორციელდეს ინდივიდუალურად და არა ჯგუფურად. სამედიცინო მომსახურების გაწევისას დასაშვებია მხოლოდ მასში უშუალოდ მონაწილე პირთა დასწრება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პაციენტი თანახმაა ან მოითხოვს სხვა პირთა დასწრებას. იმ შემთხვევაში, თუ უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე ექიმი მოითხოვს სამედიცინო მომსახურებისას იზოლატორის სხვა მოსამსახურის დასწრებას, სამედიცინო მომსახურება უნდა ჩატარდეს არასამედიცინო პირების მხრიდან მიყურადების გარეშე, მათ მიერ გონივრული დისტანციის დაცვით.

7. სამედიცინო კონფიდენციალობა ისევე უნდა იყოს დაცული, როგორც დაცულია იგი საზოგადოებაში. სამედიცინო დოკუმენტაციის სათანადოდ შენახვა იზოლატორის სამედიცინო მუშაკის მოვალეობაა და იგი ვალდებულია, მოთავსებული პირის შესახებ მის ხელთ არსებული სამედიცინო ინფორმაციის კონფიდენციალობა დაიცვას როგორც მოთავსებული პირის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ.

8. კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში. იზოლატორის ექიმს უფლება აქვს, გაამჟღავნოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და პირადი ცხოვრების შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია, თუ:

- ა) პაციენტი აძლევს ინფორმაციის გამჟღავნების უფლებას;
- ბ) ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა საფრთხეს უქმნის მესამე პირის (რომლის ვინაობაც ცნობილია) ჯანმრთელობას ან/და სიცოცხლეს;
- გ) თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი სავალდებულო აღრიცხვას დაქვემდებარებულ დაავადებაზე;
- დ) ინფორმაცია მიეწოდება სამედიცინო მომსახურების მონაწილე სხვა სამედიცინო პერსონალს;
- ე) ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისათვის;
- ვ) ინფორმაციის გამჟღავნებას, სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მოითხოვენ სამართალდამცველი ორგანოები;
- ზ) ინფორმაცია შეეხება ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტს ან/და არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება და ეს ინფორმაცია მიეწოდება მხოლოდ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს პაციენტის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად;
- თ) ინფორმაცია მიეწოდება სახელმწიფო ორგანოებს პაციენტისათვის სოციალური შეღავათების დაწესების მიზნით. ამ შემთხვევაში აუცილებელია ინფორმაციის გამჟღავნებაზე პაციენტის თანხმობა;

ი) სასწავლო-სამეცნიერო მიზნით ინფორმაციის გამოყენებისას მონაცემები ისეა წარმოდგენილი, რომ შეუძლებელია პიროვნების იდენტიფიკაცია.

9. პაციენტის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით, მის სამედიცინო დოკუმენტაციასა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას, პაციენტის თანხმობის გარეშე ასევე შესაძლებელია გაეცნონ შემდეგი სპეციალურად უფლებამოსილი პირები:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა კურატორი მინისტრის მოადგილე;

გ) სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე და დეპარტამენტის მოსამსახურე, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლო დავებზე სამინისტროს წარმომადგენლობას;

დ) სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი და უფროსის მოადგილე;

ე) დეპარტამენტის უფროსი და უფროსის მოადგილე;

ვ) სამსახურის უფროსი და უფროსის მოადგილე.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული პირები უფლებამოსილი არიან, გაეცნონ მოთავსებული პირის სამედიცინო დოკუმენტაციასა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას მხოლოდ სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე. აღნიშნულ პირებს უფლება არ აქვთ, გაამჟღავნონ ან სამსახურებრივი მიზნით გამოიყენონ მოთავსებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემების გაცნობით მიღებული ინფორმაცია სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

მუხლი 5. პროფესიული დამოუკიდებლობა და კომპეტენტურობა

1. იზოლატორის სამედიცინო მუშაკი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, სამედიცინო მომსახურების გაწევისა და მკურნალობის საკითხების გადაწყვეტისას დამოუკიდებელია და იგი უნდა ხელმძღვანელობდეს მხოლოდ სამედიცინო კრიტერიუმებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და პროფესიული ეთიკის გათვალისწინებით. მოთავსებული პირისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევისას იზოლატორის სამედიცინო მუშაკი უნდა მოქმედებდეს, როგორც პაციენტის პირადი ექიმი/ექთანი, რომლის მიზანია პაციენტის საუკეთესო ინტერესების დაცვა. იზოლატორის სამედიცინო მუშაკის მიერ პროფესიული მოვალეობის შესრულებაში იზოლატორის სხვა მოსამსახურეთა მხრიდან ჩარევა დაუშვებელია.

2. იზოლატორის სამედიცინო მუშაკი აღჭურვილი უნდა იყოს დამატებითი ცოდნითა და უნარებით, რათა წარმატებით შეძლოს პროფესიული პრაქტიკის ადაპტირება იზოლატორისა და მასში განთავსებული კონტინგენტის სპეციფიკურობის გათვალისწინებით.

მუხლი 6. სამედიცინო პერსონალის ვალდებულებები და აკრძალვები მოთავსებული პირისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევისას

1. მოთავსებული პირისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევისას იზოლატორის სამედიცინო მუშაკი ვალდებულია, მისი ჯანმრთელობის დაცვა და მკურნალობა უზრუნველყოს ისეთივე ხარისხით, როგორც სარგებლობენ თავისუფალი მოქალაქეები ქვეყანაში.

2. იზოლატორის სამედიცინო მუშაკს ეკრძალება:

ა) პირდაპირი ან არაპირდაპირი კავშირი ისეთ ქმედებებთან, რომლებიც დაკავშირებულია წამებასთან ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ, ღირსების შემლახავ მოპყრობასთან ან/და დასჯის ღონისძიებების გამოყენებასთან, ასეთ ქმედებებში თანამონაწილეობა, წაქეზება ან წაქეზების მცდელობა, აგრეთვე, ამგვარ მოქმედებებზე დასწრება;

ბ) მოთავსებულ პირთან პროფესიული ურთიერთობა, თუ ამის მიზანი არ არის მისი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შეფასება, დაცვა ან გაუმჯობესება და ეს ურთიერთობა ეწინააღმდეგება სამედიცინო ეთიკის პრინციპებს;

გ) პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენება მოთავსებული პირის დაკითხვის ხელშეწყობისათვის ისეთი მეთოდებით, რომლებიც უარყოფითად იმოქმედებენ მის ფიზიკურ ან ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ან მდგომარეობაზე;

დ) პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენება, ინსტრუმენტის ან ნივთიერების გაცემა მოთავსებული პირის წამების ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ხელშეწყობის მიზნით, ან ამგვარი მოქმედებების მიმართ მისი წინააღმდეგობის შესასუსტებლად;

ე) მოთავსებული პირის მიმართ განხორციელებულ ნებისმიერ შემზღუდავ მოქმედებაში მონაწილეობა, თუ ეს უკანასკნელი არ არის განპირობებული სამედიცინო ჩვენებებით და არ არის აუცილებელი მისი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისათვის ან/და სხვა პირის უსაფრთხოებისათვის.

მუხლი 7. სამედიცინო შემოწმება

1. იზოლატორში მოთავსებისას პირი ინფორმირებული თანხმობის გაცხადების შემდგომ დაუყოვნებლივ გადის პირველად სამედიცინო შემოწმებას, რომელსაც ახორციელებს იზოლატორის მორიგე ექიმი. პირისათვის პირველადი სამედიცინო შემოწმების ჩატარების შეთავაზება წარმოადგენს იზოლატორის მორიგე ექიმის ვალდებულებას. პირველადი სამედიცინო შემოწმებისას პირი გამოიკითხება ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ხდება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ

მონაცემების დაფიქსირება, ასევე ვიზუალური დათვალიერება სხეულზე არსებული დაზიანებების სრულად დაფიქსირების მიზნით. იზოლატორის სამედიცინო მუშაკმა პირველადი სამედიცინო შემოწმებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს შემდეგ გარემოებებს: ფიზიკური დაზიანებებისა და მათი კვალის აღწერას (ძალადობის ნიშნები ან/და გაცხადებული ძალადობის ფაქტები, ტატუირება, პირსინგი და სხვა), გადამდები დაავადებების არსებობას ან გონივრულ ეჭვს ასეთის არსებობაზე და მათი გავრცელების საფრთხეს, სუიციდის რისკის პირველად შეფასებას, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს და ფსიქიატრიული დახმარების საჭიროების განსაზღვრას; გადაუდებელი სამედიცინო ჩარევის, მათ შორის, სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების საჭიროებას, ფსიქოაქტიური ნივთიერებებით გამოწვეული ინტოქსიკაციის ან მათზე დამოკიდებულების გამოვლენასა და შესაბამისი მკურნალობის აუცილებლობის განსაზღვრას, მიმდინარე მკურნალობის უწყვეტობის, მათ შორის, მედიკამენტებით უზრუნველყოფის საჭიროებას.

2. ექიმი ვალდებულია, მოთავსებული პირის იზოლატორში მიღებისთანავე დაიწყოს იზოლატორში მოთავსებული პირის სამედიცინო ბარათის (შემდგომში – სამედიცინო ბარათი) (დანართი №3) წარმოება, ხოლო პირველადი სამედიცინო შემოწმების შედეგები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახოს იზოლატორში მოთავსებული პირის იზოლატორში შემოყვანისას ჩატარებული სამედიცინო შემოწმების ფორმაში (დანართი №4). იზოლატორის სამედიცინო მუშაკი ვალდებულია, ინფორმირებული თანხმობის არსებობის შემთხვევაში იზოლატორიდან მოთავსებული პირის გაყვანისასაც ჩაუტაროს მას სამედიცინო შემოწმება და შეავსოს იზოლატორში მოთავსებული პირის იზოლატორიდან გაყვანისას ჩატარებული სამედიცინო შემოწმების ფორმა (დანართი №5). №4 და №5 დანართების შესაბამისად შევსებული ფორმები თან უნდა დაერთოს სამედიცინო ბარათს.

მუხლი 8. გეგმური ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება

1. გეგმური ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების მიზანს წარმოადგენს დაავადებათა პრევენცია, დიაგნოსტიკა, მკურნალობა და რეაბილიტაცია. აღნიშნული მოიცავს როგორც იზოლატორის მორიგე ექიმის მიერ ადგილზე ჩატარებულ სამედიცინო მომსახურებას, ასევე საჭიროების შემთხვევაში მოთავსებული პირის გადაყვანას შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში.

2. იმ მოთავსებული პირის მედიკამენტებით უზრუნველყოფა, რომელიც იზოლატორში გადის მედიკამენტოზურ მკურნალობას, ხორციელდება სამედიცინო პუნქტში არსებული

წამლის სამარაგოდან. ასევე მას უფლება აქვს, შესაბამისი დანიშნულებისა და რეცეპტის წარდგენის შემთხვევაში, ამანათის სახით მიიღოს ქარხნული წესით დალუქული სამკურნალო საშუალებები, რომლებიც ინახება მოთავსებული პირის პირად ნივთებთან ერთად. სამკურნალო საშუალებების მიწოდებას მოთავსებული პირისათვის ახორციელებს იზოლატორის სამედიცინო მუშაკი, მხოლოდ ერთჯერადი დოზის ოდენობით, რომლის მიღებაც ხორციელდება იზოლატორის მორიგე ექიმის უშუალო ზედამხედველობით.

3. იზოლატორის ექიმი სამედიცინო ინტერვენციისას სამედიცინო დოკუმენტაციას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 9. გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება

1. გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება მოიცავს ყველა იმ სამედიცინო მომსახურებას, რომლის გადადების ან განუხორციელებლობის შემთხვევაშიც გარდაუვალი იქნება მოთავსებული პირის სიკვდილი, ფიზიკური ან/და ფსიქიკური შესაძლებლობების მნიშვნელოვანი შეზღუდვა ან ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი გაუარესება. გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება მოიცავს მოთავსებული პირისათვის შესაბამისი დახმარების აღმოჩენას ადგილზე, ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზებასა და საჭიროების შემთხვევაში, იზოლატორის ექიმის დასკვნის საფუძველზე, გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, გეოგრაფიული პრინციპის დაცვის გათვალისწინებით, მოთავსებული პირის გადაყვანას შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში.

2. იზოლატორში ყოველთვის უნდა არსებობდეს საჭიროებისას სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახების შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუ იზოლატორის ექიმი არ იმყოფება იზოლატორში ან ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე შეუძლებელია, მის მიერ მოთავსებულ პირს გაეწიოს შესაბამისი მომსახურება, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მოსვლამდე მოთავსებულ პირს შესაბამის დახმარებას აღმოუჩენს პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის უნარ-ჩვევების მქონე იზოლატორის მოსამსახურე. აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს, რომ იზოლატორის ყველა მოსამსახურეს გავლილი ჰქონდეს პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შემსწავლელი სპეციალიზებული კურსი. პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევის საჭიროებისას, დროებითი მოთავსების იზოლატორის სამედიცინო განათლების არმქონე მოსამსახურეები მოქმედებენ „დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომელთა სტანდარტული სამოქმედო პროცედურების“ დაცვით.

მუხლი 10. ხელმისაწვდომობა ლაბორატორიულ მომსახურებაზე

1. მოთავსებული პირის ბიოლოგიური მასალის კლინიკური და ბიოქიმიური ლაბორატორიული გამოკვლევები დროებითი მოთავსების იზოლატორში არ ხორციელდება. ალკოჰოლური, ნარკოტიკული და სხვა გამაბრუებელი საშუალებებით გამოწვეული თრობის მდგომარეობის დადგენის მიზნით სამედიცინო-ნარკოლოგიური კვლევა ტარდება შესაბამისი ლიცენზიის მქონე სამედიცინო ან საექსპერტო დაწესებულებაში შესაბამისი სერტიფიკატის მქონე ექიმის მიერ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო სტანდარტების დაცვით. პირველადი შემოწმებისას ან გეგმური ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების გაწევის პროცესში ლაბორატორიული გამოკვლევების ან/და სამედიცინო-ნარკოლოგიური კვლევის ჩატარების საჭიროების გამოვლენისას მოთავსებული პირი გადაყვანილი უნდა იქნეს შესაბამის სამედიცინო ან საექსპერტო დაწესებულებაში. აღნიშნულის შესახებ იზოლატორის ექიმი შუამდგომლობით მიმართავს იზოლატორის უფროსს, რომელიც უზრუნველყოფს მოთავსებული პირის გადაყვანას შესაბამის სამედიცინო ან საექსპერტო დაწესებულებაში.

2. მოთავსებული პირის სურვილის შემთხვევაში, მიუხედავად იზოლატორის მორიგე ექიმის მიერ ლაბორატორიული გამოკვლევის ჩატარების საჭიროების დადასტურების არარსებობისა, მისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ქვეყანაში არსებული სამედიცინო ლაბორატორიული გამოკვლევები. აღნიშნულ შემთხვევაში ჩატარებული გამოკვლევის ხარჯები ანაზღაურდება მოთავსებული პირის, მისი ოჯახის წევრის ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ.

მუხლი 11. სტაციონარული სამედიცინო მომსახურება

საჭიროების გამოვლენისას იზოლატორის მორიგე ექიმის დასკვნის საფუძველზე, მკურნალობის ან დიაგნოსტიკის მიზნით იზოლატორის უფროსი უზრუნველყოფს მოთავსებული პირის გადაყვანას შესაბამის სტაციონარულ დაწესებულებაში.

მუხლი 12. სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების ზოგადი მიმოხილვა

1. მოთავსებული პირი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურებით, რაც გულისხმობს შესაბამისი

პროფილის სპეციალისტების მიერ სამედიცინო მომსახურების გაწევას. ექიმ-სპეციალისტთა საჭიროების გამოვლენას ახორციელებს იზოლატორის მორიგე ექიმი, რის შემდგომაც, ინფორმირებული თანხმობის მიღების შემთხვევაში, იზოლატორის მორიგე ექიმი შუამდგომლობით მიმართავს იზოლატორის უფროსს მოთავსებული პირის შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის ან შესაბამისი ექიმ-სპეციალისტის იზოლატორში მოწვევის შესახებ. დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში მოთავსებულ პირს უფლება აქვს, იზოლატორის უფროსის ნებართვით, საკუთარი სახსრებით მოიწვიოს პირადი ექიმი.

2. სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურებისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსებული პირის გაყვანისას აღნიშნული დაწესებულების სამედიცინო პერსონალისათვის გადაცემის მიზნით ბადრაგირების განმახორციელებელ პირს გადაეცემა იზოლატორის მორიგე ექიმის მიერ სათანადოდ შევსებული ცნობა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV-100/ა), რომელიც გადაცემამდე თავსდება დალუქულ კონვერტში. შესაბამის სამედიცინო პერსონალს აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა გადაეცეს კონვერტის დაზიანების გარეშე.

3. იზოლატორში ექიმ-სპეციალისტის მოწვევის საჭიროების შემთხვევაში ვიზიტის დრო თანხმდება იზოლატორის უფროსთან და იზოლატორის სამედიცინო მუშაკთან. ექიმ-სპეციალისტმა ვიზიტისას თან უნდა იქონიოს შესაბამისი სპეციალობის დამადასტურებელი სერტიფიკატი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 13. სტომატოლოგიური მომსახურება

მოთავსებული პირისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება. აღნიშნული მომსახურება, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს ზედმეტი დაყოვნების გარეშე, სამოქალაქო სექტორის სტომატოლოგიურ კლინიკაში.

მუხლი 14. ფსიქიატრიული მომსახურება

იზოლატორში მოთავსებისას იზოლატორის მორიგე ექიმის მიერ ფასდება მოთავსებული პირის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა. იზოლატორში მოთავსებისას (ან შემდგომში) მორიგე ექიმის მიერ პირისათვის ჩატარებული სამედიცინო შემოწმებისას ფსიქიკური პრობლემების გამწვავების გამოვლენის, მასზე ეჭვის მიტანის ან შესაბამისი ფსიქიკური დარღვევის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში,

შემდგომი დიაგნოსტიკის ან/და მკურნალობის მიზნით პირი იგზავნება შესაბამისად აღჭურვილ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

მუხლი 15. ფსიქოლოგიური მომსახურება

მოთავსებული პირი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ფსიქოლოგიური მომსახურებით.

მუხლი 16. ხელმისაწვდომობა ჩანაცვლებით თერაპიაზე

ნარკომანიის ჩანაცვლებით სპეციალურ პროგრამაში ჩართული პაციენტის იზოლატორში მოთავსების შემთხვევაში, მოთავსებული პირის, მისი ოჯახის წევრის ან/და კანონიერი წარმომადგენლის მიერ მიმართავის შემთხვევაში ჩანაცვლებითი თერაპიის უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით, იზოლატორის მორიგე ექიმი იზოლატორის უფროსს წარუდგენს შუამდგომლობას მკურნალობის ინდივიდუალური გრაფიკის გათვალისწინებით მოთავსებული პირის ჩანაცვლებითი მკურნალობის განმახორციელებელ დაწესებულებაში გადაყვანის საჭიროების თაობაზე.

მუხლი 17. ჰუმანიტარული თანადგომა

იზოლატორში მოთავსებისას და შემდგომში დროულად უნდა მოხდეს განსაკუთრებულად მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირება. აღნიშნულ ჯგუფებს შესაძლოა წარმოადგენდნენ: პიროვნული აშლილობის ან/და ფსიქოპათიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულების მქონე პირები, ორსული ან მეძუძური დედები, მოზარდები, თვითდაზიანებისა და სუიციდისაკენ მიდრეკილი პირები. მოწყვლადი ჯგუფების რისკებისა და საჭიროებების განსაზღვრას იზოლატორის სამედიცინო მუშაკის მიერ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს. გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინების მიზნით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, იზოლატორის მორიგე ექიმი შესაბამისი წერილობითი რეკომენდაციით მიმართავს იზოლატორის უფროსს.

მუხლი 18. არასრულწლოვან მოთავსებულ პირთა ჯანმრთელობის დაცვა

1. არასრულწლოვანი მოთავსებული პირისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. საჭიროების შემთხვევაში, არასრულწლოვანი პირისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოწვეული ექიმი-პედიატრის კონსულტაცია.

2. არასრულწლოვანი მოთავსებული პირის შემთხვევაში, იზოლატორის სამედიცინო მუშაკის მიერ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა: გადამდები (მათ შორის, სქესობრივი გზით) დაავადებების ადრეულ გამოვლენას, მკურნალობასა და პრევენციას, პირის ღრუს ჯანმრთელობას, ადიქტოლოგიასა და ზიანის შემცირების სერვისს, ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვას.

მუხლი 19. იზოლატორში მოთავსებულ ქალთა ჯანმრთელობის დაცვა

1. იზოლატორში მოთავსებულ ქალთან მიმართებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შემდეგი სახის ინფორმაციის შეგროვებასა და შეფასებას: შესაძლო ძალადობის ნიშნებს და წარსულში გადატანილ ძალადობის ფაქტებს (მათ შორის, სექსუალური ძალადობის ფაქტები); ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობას, განსაკუთრებით პოსტ-ტრავმულ სტრესულ აშლილობას; სუიციდურ ქცევას და წამალდამოკიდებულებას.

2. იზოლატორში ქალის მოთავსებისას უნდა დადგინდეს ინფორმაცია მიმდინარე ორსულობის, მოსალოდნელი მშობიარობის ან მეძუძური დედის სტატუსის შესახებ. ორსულები უნდა განთავსდნენ სხვა მოთავსებული პირებისაგან განცალკევებით და მათთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი სამედიცინო მომსახურება. იზოლატორის უფროსი/იზოლატორის სამედიცინო მუშაკი ვალდებულია, გაატაროს ყველა შესაძლო ღონისძიება მშობიარობის შესაბამისი პროფილის სამედიცინო დაწესებულებაში განხორციელებისათვის. თუ იზოლატორში მოთავსებულ ქალს ჰყავს მცირეწლოვანი შვილი, იზოლატორის უფროსი ვალდებულია, ეს ინფორმაცია წერილობით მიაწოდოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

3. იზოლატორში მოთავსებული ქალის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში იგი შეძლებისდაგვარად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი იმავე სქესის სამედიცინო მუშაკის მომსახურებით. იზოლატორში მოთავსებული ქალისათვის, გენდერსპეციფიკური საჭიროებებიდან გამომდინარე, გათვალისწინებული უნდა იყოს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა და ამ მიზნით მას უნდა მიეწოდოს შესაბამისი ჰიგიენური საშუალებები.

მუხლი 20. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჯანმრთელობის დაცვა და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა

იზოლატორში მოთავსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მკურნალობა, სპეციფიკური მოვლა და მეთვალყურეობა, მათ შორის დამხმარე

საშუალებებსა და პროთეზებზე ხელმისაწვდომობა. იზოლატორის სამედიცინო მუშაკის მიერ შეფასებული უნდა იქნეს პირის ინდივიდუალური საჭიროებები და შესაძლებლობები, მათ შორის საკუთარი თავის მოვლის შესაძლებლობა. იზოლატორში მოთავსებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირისათვის მაქსიმალური მისადაგების პირობების შექმნის მიზნით, პირის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, იზოლატორის მორიგე ექიმის მიერ შესაბამისი რეკომენდაცია მიეწოდება იზოლატორის უფროსს.

მუხლი 21. ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირთა სამედიცინო

მომსახურება და ზიანის შემცირების ღონისძიებები

1. იზოლატორში მოთავსებისას უნდა მოხდეს ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებული პირის იდენტიფიცირება და ინფორმირებული თანხმობის შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების დაგეგმვა/განხორციელება. ფსიქოაქტიური საშუალებებით ინტოქსიკაციის, ზედოზირებისა და აგონისტური მდგომარეობის დროს, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს პირის გაყვანა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების აღმოჩენის მიზნით.
2. იმ შემთხვევაში, თუ იზოლატორში მიღებისას პირს აღმოაჩნდება მედიკამენტი, რომლის იდენტიფიცირებაც შეუძლებელია ან იზოლატორის მორიგე ექიმის მიერ მედიკამენტის დაუზიანებელი შეფუთვის შესწავლის შემდგომ აღმოჩნდება, რომ იგი მიეკუთვნება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებას, რეცეპტის არარსებობის შემთხვევაში მედიკამენტი იზოლატორის უფლებამოსილი პირის მიერ ილუქება შესაბამისი წესის დაცვით, აღნიშნული შემთხვევის შესახებ დგება სათანადო ოქმი და დაუყოვნებლივ ეცნობება საქართველოს პროკურატურას. მოთავსებული პირის მიერ, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალების ექიმის დანიშნულების საფუძველზე შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტის (რეცეპტი) წარდგენის შემთხვევაში, სამკურნალო საშუალება ინახება სამედიცინო პუნქტში არსებულ წამლის სამარაგოში და მოთავსებულ პირს იგი მიეწოდება დანიშნულების (რეცეპტი) მიხედვით.

მუხლი 22. ეთნიკური, რელიგიური და სხვა უმცირესობების ჯანმრთელობის დაცვა

1. ეთნიკური, რელიგიური და სხვა უმცირესობების იზოლატორში მოთავსებისას, სამედიცინო მომსახურების გაწევის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მათი ინდივიდუალური საჭიროებები და დამოკიდებულება სხვადასხვა საკითხის მიმართ.
2. ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში გასათვალისწინებელია ენობრივი ბარიერი, რაც შესაძლებელია შემაფერხებელი ფაქტორი აღმოჩნდეს იზოლატორის სამედიცინო მუშაკისა და მოთავსებული პირის ურთიერთობაში. აღნიშნული პრობლემის

გადაჭრისათვის, იზოლატორის მორიგე ექიმის რეკომენდაციის საფუძველზე, იზოლატორის უფროსი უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის მქონე თარჯიმნის მოწვევას. იზოლატორის სამედიცინო მუშაკის მიერ ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს თარგმანის დამახინჯების რისკი და კონფიდენციალობის დარღვევის საფრთხე, რის შესახებაც თავიდანვე უნდა იქნეს გაფრთხილებული თარჯიმანი. ასევე შესაძლებელია ბროშურების წინასწარ დაბეჭდვა სხვადასხვა ენაზე, სადაც დატანილი იქნება ძირითადი ინფორმაცია იზოლატორში არსებული სამედიცინო მომსახურებისა და ამ მომსახურებით სარგებლობის წესების შესახებ.

3. სამედიცინო მომსახურებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მოთავსებული პირის კულტურული და რელიგიური ფასეულობები, ასევე მნიშვნელოვანია კვებითი საჭიროებების დადგენა მისი ინტერესების გათვალისწინებით.

მუხლი 23. მოთავსებულ პირთა ჯანმრთელობის ხელშეწყობა და პრევენციული

ღონისძიებები

მოთავსებულ პირთა ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და დაავადებათა გავრცელების პრევენციის მიზნით, იზოლატორის სამედიცინო მუშაკი ვალდებულია, იზოლატორის მოსამსახურებებთან კოორდინაციით მოთავსებულ პირთა მკურნალობასთან ერთად გაატაროს პრევენციული/პროფილაქტიკური ღონისძიებები. აღნიშნული ღონისძიებები უნდა მოიცავდეს იზოლატორში ჰიგიენური პირობების დაცვის ხელშეწყობის, სათანადო საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის, საკვების, სასმელი წყლისა და ჰაერის სისუფთავის დაცვის, თვითდაზიანების, სუიციდისა და ძალადობის პრევენციის საკითხებსა და სხვა საკითხებზე, რომელიც გავლენას ახდენს მოთავსებულ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, გარკვეული პერიოდულობით მონიტორინგის წარმოებას. გამოვლენილი ხარვეზებისა და მათი გამოსწორების გზების შესახებ მორიგე ექიმი წერილობით რეკომენდაციას წარუდგენს იზოლატორის უფროსს, ხოლო მის მიერ სათანადო ღონისძიებების გონივრულ ვადაში გაუტარებლობის შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე აცნობებს სამედიცინო მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელობას.

მუხლი 24. გადამდებ დაავადებათა პრევენცია და კონტროლი

1. გადამდებ დაავადებათა გავრცელების თავიდან აცილების მიზნით მოთავსებული პირებისა და იზოლატორის მოსამსახურებებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადამდები დაავადებების (ვირუსული ჰეპატიტები, აივ-ინფექცია/შიდსი, ტუბერკულოზი, კანის დაავადებები) გადაცემის გზების, სიმპტომებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის რეგულარული მიწოდება.

საჭიროებისას, მათი იზოლატორში ყოფნის პერიოდში, სამედიცინო მეთვალყურეობა უნდა დაწესდეს პირებზე, ვისთანაც კონკრეტულ დაავადებულ პირს ჰქონდა რეგულარული კონტაქტი.

2. იზოლატორის მოსამსახურეთათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი მომზადება პრევენციული ზომების მიღებისა და გადამდები დაავადებების მქონე მოთავსებულ პირთა მიმართ მოპყრობის შესახებ. ასევე, იზოლატორის მოსამსახურეებს უნდა მიეცეს ინსტრუქცია დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და კონფიდენციალობის დაცვის შესახებ.

3. მოთავსებული პირის სეგრეგაცია მხოლოდ იმ მოტივით, რომ იგი არის აივ-ინფიცირებული, ვირუსული B ან C ჰეპატიტით დაავადებული, დაუშვებელია. ტუბერკულოზის გავრცელების თავიდან ასაცილებლად იზოლატორში უნდა გატარდეს ინფექციის კონტროლის ღონისძიებები. აღნიშნული ღონისძიებები მოიცავს ტუბერკულოზით დაავადებული ან დაავადებაზე ეჭვმიტანილი პირის გადაყვანას ცალკე საკანში და საჭიროების შემთხვევაში, პირადი ჰიგიენის საშუალებების აქტიურ გამოყენებას მოთავსებულ პირთან კონტაქტში მყოფი პირების მიერ.

მუხლი 25. წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენცია იზოლატორში

1. იზოლატორის სამედიცინო პუნქტი იზოლატორში პირის შემოყვანისას დაუყოვნებლივ უნდა ახორციელებდეს ამ პირის სხეულის დათვალიერებას, დაზიანებების რეგისტრაციასა და აუცილებლობის შემთხვევაში, მოთავსებული პირის თანხმობით, სათანადო უწყებებისათვის აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. იზოლატორში მოთავსებისას პირის პირველადი სამედიცინო შემოწმების დროს აღმოჩენილი ძალადობის ნებისმიერი კვალი დეტალურად უნდა იქნას დოკუმენტირებული, აღნიშნული პირის შესაბამის განცხადებასა და ექიმის დასკვნასთან ერთად. ანალოგიური მიდგომა უნდა იყოს ყოველთვის, როდესაც მოთავსებულ პირს მიეწოდება სამედიცინო მომსახურება იზოლატორში მომხდარი ძალადობის ფაქტის შემდეგ ან რაიმე მიზეზით ხორციელდება მისი გაყვანა იზოლატორიდან და შემდგომ კვლავ ხდება მისი დაბრუნება. სამედიცინო პუნქტში უნდა არსებობდეს მოთავსებულ პირთა ტრავმების/თვითდაზიანებების აღწერის ჟურნალი (დანართი №6), რომელშიც უნდა აისახოს: მოთავსებული პირის გვარი და სახელი, დაზიანების აღმოჩენის დრო, დაზიანების ლოკალიზაცია და ხასიათი, დაზიანების წარმომავლობა, იზოლატორის მორიგე ექიმისა და მოთავსებული პირის ხელმოწერები. გამოვლენილი სხეულის დაზიანების შემთხვევების შესახებ აუცილებელია პერიოდული სტატისტიკის წარმოება და მისი მიწოდება როგორც იზოლატორის უფროსისა და სამედიცინო მომსახურების სამსახურისთვის, ასევე სხვა სათანადო უწყებებისთვის. მოთავსებულ პირთა

დაზიანებებისა და ტრავმების აღრიცხვის ჟურნალის ჩანაწერის ასლი თან ერთვის მოთავსებული პირის სამედიცინო ბარათს.

2. ნებისმიერი სხვა სახის სამედიცინო მომსახურების მსგავსად, დაზიანებების შემოწმებაც უნდა ჩატარდეს არასამედიცინო პერსონალის მიერ მიყურადების გარეშე და ასევე, სხვა პირთა მხედველობის არის მიღმა, თუ კონკრეტულ შემთხვევაში სხვაგვარად არ მოითხოვს იზოლატორის ექიმი.

3. დაზიანებათა დოკუმენტირებისა და აღწერისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, იზოლატორის სამედიცინო მუშაკებისათვის უნდა ჩატარდეს სპეციალური ტრენინგები, რომლებიც ასევე უნდა ითვალისწინებდეს არასათანადო მოპყრობის შესაძლო მსხვერპლთან გასაუბრების ტექნიკის სწავლებას.

მუხლი 26. თვითდაზიანებისა და სუიციდის პრევენცია და მართვა იზოლატორში

1. იზოლატორში მოთავსებისას პირისათვის პირველადი სამედიცინო შემოწმების ჩატარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვითდაზიანებისა და სუიციდის პრევენციის თვალსაზრისით. ადეკვატური სამედიცინო შემოწმების შემთხვევაში, შესაძლებელია სულ მცირე რისკგუფებში შემავალ პირთა გამოვლენა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა. იზოლატორში მოთავსებისთანავე პირისათვის სამედიცინო მომსახურების შეთავაზებით, სამედიცინო მომსახურების წესების გაცნობით ასევე შესაძლებელია ახალმიღებული პირების ემოციური ფონის ნაწილობრივ შემსუბუქება და მათთვის საფრთხის შეგრძნების შემცირება.

2. რისკგუფში შემავალი პირი, რომელიც მიიჩნევა თვითმკვლელობის საშიშროების ქვეშ მყოფად, უნდა იმყოფებოდეს იზოლატორის სამედიცინო მუშაკის გეგმური მეთვალყურეობის ქვეშ იმ ვადით, რასაც მოითხოვს საჭიროება. მნიშვნელოვანია, რომ ასეთ პირებს ხელი არ მიუწვდებოდეთ ისეთ საგნებზე, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს თავის მოკვლის საშუალებად (ფანჯრების რკინის წნული, მინის ნამსხვრევები, ქამარი, ჰალსტუხი და ა.შ.). გამოვლენილი რისკებისა და მათი პრევენციის გზების შესახებ იზოლატორის მორიგე ექიმი წერილობით რეკომენდაციას წარუდგენს იზოლატორის უფროსს.

3. სუიციდის თავიდან აცილების მიზნით იზოლატორის სამედიცინო მუშაკმა იზოლატორის ყველა მოსამსახურეს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია თვითმკვლელობის საშიშროების ნიშნების შესახებ, ხოლო დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს სუიციდური ქცევის ამოცნობაში მათი მომზადება.

მუხლი 27. კვების მონიტორინგი, შიმშილობის მართვა და მოშიმშილე პირთა უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურებით

1. იზოლატორის სამედიცინო მუშაკს ევალება მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ რაოდენობასა და ხარისხთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საკვების მომზადებისა და განაწილების პროცესის მონიტორინგი. გამოვლენილი ხარვეზებისა და მათი გამოსწორების გზების შესახებ მორიგე ექიმი წერილობით რეკომენდაციას წარუდგენს იზოლატორის უფროსს.
2. იზოლატორში მყოფ მოშიმშილე პირთან მოპყრობის წესი და შიმშილობის მართვის პროცესში იზოლატორის სამედიცინო მუშაკის უფლება-მოვალეობები რეგულირდება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოშიმშილე პირთა ყოფნის პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

მუხლი 28. ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები, სანიტარიულ-ჰიგიენური და საყოფაცხოვრებო პირობები და მონიტორინგი

იზოლატორის სამედიცინო მუშაკს ევალება, იზოლატორის მოსამსახურებებთან კოორდინაციით თვალყური ადევნოს სანიტარიულ-ჰიგიენური და საყოფაცხოვრებო პირობების დაცვას როგორც იზოლატორში, ასევე მოთავსებულ პირებთან მიმართებაში, კერძოდ, ტანსაცმლისა და თეთრეულის სისუფთავეს, შხაპის ხელმისაწვდომობას და სანიტარული კვანძების მდგომარეობას, ასევე ზედამხედველობა გაუწიოს ჰიგიენური საშუალებების მოთავსებულ პირთათვის გადაცემის პროცესს. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მორიგე ექიმი ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ წერილობითი სახით აცნობოს იზოლატორის უფროსს.

მუხლი 29. სამკურნალწამლო საშუალებებით, მათ შორის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა

1. იზოლატორის სამედიცინო პუნქტის მედიკამენტებით მომარაგება ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში, იმგვარად, რომ სამედიცინო პუნქტში მუდმივად არსებობდეს ამ ინსტრუქციის №2 დანართით დამტკიცებული მედიკამენტები და სამედიცინო დანიშნულების სახარჯი მასალები.
2. მედიკამენტების მიღებას, შენახვას, განაწილებასა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოებას ახორციელებს იზოლატორის მორიგე ექიმი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. პაციენტებზე ამ ინსტრუქციის

№2 დანართით გათვალისწინებული მედიკამენტების გაცემა ხდება მხოლოდ ექიმის დანიშნულების შესაბამისად, უსასყიდლოდ.

